

საქართველოს სკოლის მრავალმხრივი
სახეობებისა და თამაშების
ასოციაცია



ქართული საბრძოლო
ხელოვნება

მ ბ შ უ რ ა



ისტორიული წყაჩაღები და
აღწერილობა

პირველი გრედაქცია

2023

სამართლებელს სპორტის ტრადიციული
სახეობებისა და თამაშების
ასოციაცია



ქართული საბრძოლო ხელოვნება

მაჭურა

ისტორიული წყაროები და ზოგადი
აღწერილობა

პირველი რედაქცია

თბილისი 2023 წ.


ავტორისგან

„მაჯურა“ ჟიდაობა ძალიან მდიდარია ილეთებით და, შესაბამისად, ძველ დროს მეზრდოლის და დღევანდელობაში ჟიდაობის სხვადასხვა სახეობებში მოვარჯიშეთათვის მომზადების საუკეთესო სისტემას წარმოადგენს. ეს ჟიდაობა, სხვა ყველაფერთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, ანვითარებს მაჯის სიძლიერეს, რომელიც მართო შიშველი ხელით ბრძოლისას როდია აუცილებელი. სწორედ მაჯის სიძლიერეზე იყო დამოკიდებული ხმლის, ან სხვა ცივი იარაღის ოსტატური ხმარება.

ავტორი: კობა ჭუმბურიძე
ექსპერტ-კონსულტანტი: ნოდარ ლურსმანაშვილი
ასისტენტი: თეიმურაზ დავითინიძე
მხატვარ-დიზაინერი: ლევან კიკალიშვილი
რედაქტირება, დაკაბადონება: მამუკა ხანთაძე
ფოტო გადაღება: ზვიად ვარდუკაძე

გამოცემა მომზადებულია კახაბერ ზარნაძის სახელობის
სასწავლო-კვლევითი ცენტრის მიერ

გამოიცა საქართველოს კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით



ISBN 978-9941-8-6099-7

წინასიტყვაობა

“ქართული ჭიდაობა ისეთივე ეროვნული საუნჯეა, როგორც ფოლკლორი, ქართული სიმღერები, ქართული ხუროთმოძღვრება” - ნიკო კეცხოველი

საბრძოლო ხელოვნებაც ერთი იმ ცოდნათაგანია, რომელსაც წინაპარი საუკუნეთა განმავლობაში ხვეწდა და ამდიდრებდა. ამის თვალსაჩინო გამოვლინებაა საოცარი ქართული ჭიდაობა.

შერკინების ეს სახეობა განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ჩვენში. ქართველებმა ყველა საერთაშორისო სახეობა გაამდიდრეს თავისი ხელწერითა და ჭიდაობის განსხვავებული მანერით. შესაბამისად, არც ერთ სპორტულ სახეობაში იმდენი წარმატება არ მოუპოვებიათ ჩვენს სპორტსმენებს, რამდენიც ჭიდაობაში.

რაში მდგომარეობს ჩვენი მოჭიდავეების ასეთ წარმატებათა საიდუმლო? რამ შეაძლებინა მათ დაეპყროთ პრაქტიკულად ყველა მწვერვალის მსოფლიო ასპარეზზე? ამ მიღწევათა საფუძველი უძველესი და უნიკალური ფენომენი – ქართული (ქართლ–კახური) ჭიდაობა და მისი ნაირსახეობანი გახლავთ.

უძველესი დროიდან საქართველოს ყველა კუთხეში არსებობდა ჭიდაობის ადგილობრივი ნაირსახეობანი, რომლებმაც, ნაწილობრივ, ჩვენამდეც მოაღწია, თუმც კი, უმეტესობა დაკარგვის ზღვარზეა მისული.

მართალია, ქართლ–კახური ჭიდაობის სკოლამ თავისი სიმდიდრითა და დახვეწილობით დიდი სამსახური გასწია, მაგრამ მოზარდის ფიზიკური განვითარების თვალსაზრისით კუთხური სახეობანი ასევე უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანია.

ამავდროულად ეს სახეობანი ამა თუ იმ კუთხის კულტურისა და ტრადიციის ნაწილია და, ამდენად, მათი დაკარგვა დიდი დანაკლისი იქნება ჩვენი ერისათვის.

სადღეისოდ, მკვლევართა ჯგუფების მიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოწყობილ ექსპედიციებსა და წყაროებში მოპოვებული მასალის შეჯამებით, გამოიკვეთა ჭიდაობის მრავალი, როგორც ზოგადქართული, ასევე კუთხური ნაირსახეობა.

მათ შორის გვხვდება ისეთებიც, რომლებიც აქამდე არ იყო აღწერილი, ხოლო ზოგზე კი მხოლოდ ზედაპირული ცნობები მოგვეპოვებოდა.

ესენია: ქართლ–კახური – “მაჯურა”, “ცალხელა”, “მკერდაობა”, მთიულური – “იღლიდორა”, გურული – “ჭედობა” (“ტეკობა”), მეგრული – “რკინება”, იმერული – “საბეჭურიდან ჭიდაობა”, ხევსურული – “მოშ და მოშ” და “მუქასრისა”, რაჭული – “ლოჯური” (წელის არეში ჩავლებით), და “ხაცური” (ხელჩაკიდებით), სვანური – “ლიბურძგვალ”, “ლიჯირთიელ” და “ლიბრგიელ”, ინგილოური, მესხური, “ღორული” (პარტერში ჭიდაობა), “მკლავმობმით”, “ხრინკული” (ფეხწამოდებით) და სხვანი.

ეს შერკინებანი იმდენად დახვეწილია და სანახაობრივი, რომ დამოუკიდებელ სახეობად არსებობის სრული უფლება აქვთ, მაგრამ თუ “ხარდიორდას” სულხან–საბასეულ განმარტებას გავიხსენებთ, საჩინო ხდება, რომ მუზღუდული რკინება უმთავრესად მებრძოლის დგინების (მომზადების დონის განსაზღვრის) შემადგენელი სავარჯიშო–საჩვენებელი სახეობა უნდა ყოფილიყო.

ამავდროს გურული, რაჭული და ხევსურული ძალისმიერი რკინებების გულდასმით გაჩხრეკას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ამ სახეობებს მებრძოლისათვის ძლიერი და ხანგრძლივი ჩხვითი მოძრაობების უნარი უნდა გამოემუშავებინა, ანუ ისინი ასაკით ხმალზე უხნესია.

შერკინებათა აღსაწერად ყველაზე მოსახერხებელი აღმოჩნდა საგანგებოდ შემუშავებული ხერხი, რომელსაც პირობითად შესაძლოა ეწოდოს “შრეული დალაგება”. ამ ძირითადი ღერძის გარდა თითოეული სახეობა, არსებითი თავისებურებებიდან გამომდინარე, საგანგებო მიდგომას საჭიროებს და ეს ცალკე განხილვის საგანია.

სახეობის აღწერა შეიძლება დავყოთ შემდეგ საფეხურებად:

1. – კეთდება აღწერა, თუ როდის და სადაა მოპოვებული საბაზო ინფორმაცია, რა არის ამ სახეობის ძირითადი მახასიათებელი (შედარებითი ანალიზი), რა ღირებულება აქვს მას კულტურული, ეთნოგრაფიული თუ ფიზიკური განვითარების კუთხით, როგორია ამჟამინდელი გამოყენების სავარაუდო არე;
2. – ჯგუფდება საჭირო ტერმინები სათანადო განმარტებებით;
3. – განისაზღვრება ჩაცმულობა;
4. – დგინდება შერკინების წესები;
5. – სქემატურად გამოისახება შეტევების ველი ილეეთის, აგრეთვე ილეეთის დამხმარე საშუალებათა (საფრთხოლი, საცდური ანუ ცრუმოძრაობა და მისთანანი) აღწერითა და დასახელებით;
6. – შემდეგი შრე წარმოადგენს თავდაცვის ველს ილეეთისა და დამხმარე საშუალებათა (არინი, დაღალატება და სხვანი) აღწერითა და დასახელებით;

7. – შემდეგი შრე კონტრილეთზე შემტევის რეაგირების აღწერაა და ასე შემდეგ (ზოგიერთ ილეთზე მოძიებულია რამდენიმე გაგრძელება და ასევე განვითარების რამდენიმე შრე).

გარდა ამისა, თითოეული ილეთის სრულყოფილი აღწერისთვის საჭიროა მისი განვითარების დინამიკის ამსახველი რამდენიმე ფოტო (ილეთის სირთულის მიხედვით).

ზემოთ ჩამოთვლილ კუთხურ სახეობათა შესახებ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია მხოლოდ მათი ზოგადი აღწერის საშუალებას იძლევა, ხოლო მოწესრიგება დამატებით მასალას და საკმაოდ დიდ ღროს მოითხოვს.

ამჯერად შესაძლებელია მეტ–ნაკლებად დასრულებული საბაზო სახით წარმოვადგინოთ ამგვარი ჭიდაობები, რომელთა გავრცელების არეალიც იმდენად ფართოა, რომ შეგვიძლია ისინი ზოგადქართულად ჩავთვალოთ. ესენია შეზღუდული ჭიდაობის ნაირსახეობანი: “მაჯურა”, “ცალხელა”, “მკერდაობა” ანუ მუცლით ჭიდაობა და “კოლხური” (პარტერში ჭიდაობა).

“მაჯურა” - რკინება


სახელმწიფო მუზეუმში დაცულია მცირე ზომის ქანდაკებები, რომლებიც, როგორც ჩანს, რაღაც რიტუალს ან ცეკვის სხვადასხვა პოზიციებს გამოსახავენ.

ერთ–ერთი მათგანი ძალიან ჰგავს მაჯურა ჭიდაობის საწყის დგომს. სავარაუდოა, რომ მას იმხანად გარკვეული სარიტუალო დანიშნულებაც უნდა ჰქონოდა.




„მაჯურა“ ჭიდაობა მიმდინარეობს ცალი ხელით, ჯერ მარჯვენით, შემდგომ მარცხენით. მოწინააღმდეგეები დგებიან ერთმანეთის წინააღმდეგ და ხელს ართმევენ. ამ დროს მეორე ხელი უკან, წელზე უნდა იყოს მიღებული და მისი ხმარება აკრძალულია. ხელის წინ გადმოტანა მხოლოდ დაცემის მომენტშია დასაშვები (დაშავების თავიდან ასაცილებლად).

1



2



წინამდებარე სქემა, რომელზეც მხოლოდ შეტევების ჯგუფია წარმოდგენილი, ნათელჰყოფს, თუ რაოდენ განვითარებული და დახვეწილია ეს სახეობა.

მოჭიდავეს უფლება აქვს, ხელის გაუშვებლად, ილეთის უკეთ გაკეთების მიზნით, ჩავლების პოზიცია შეცვალოს. სხვა არავითარი აკრძალვა ამ ჭიდაობაში არ არსებობს. დასაშვებია ნებისმიერი ილეთი ფეხსა თუ ხელზე (მაჯიდან ხელგაუშვებლად). მოძიებულ ილეთთაგან ზოგიერთი არც ერთ სხვა ორთაბრძოლაში არ გვხვდება.

“მაჯურაში” გამოიყენება: “ცერულები”, “ნამგალები”, “მოცელვები”, “ფეხდაბიჯებები”, “შუაფეხი”, “ჩახვეულები”, “სარმები”. ხელის გაუშვებლად კეთდება “კისრულები”, “მხარჩადგმულები”: “წინდაქაჩვით”, “მაჯის გატეხვით”, “მკლავჩატეხვით”. დაშვებულია ცერით მოწინააღმდეგის ცერის ჩატეხვა – “ცერჩატეხილი”. უმეტესობა ილეთებისა სრულდება მაჯის ან მკლავის ჩატეხვით.

სრულდება აგრეთვე “გადავლებულები”, “გრეხილები”, ძლიერ ტრავმატულია ეგრეთწოდებული “გატეხილები”, რომლის დროსაც მიმდინარეობს ზედა კიდურის სახსრების ტეხვა სხეულის სხვადასხვა ნაწილზე მიბჯენით. ამის მიხედვით არსებობს: “მხარზე გატეხილი”, “შუბლზე გატეხილი”, “მკერდზე გატეხილი” და “ქელზე გატეხილი”.

ყველა ილეთისა და თავისებურების აღწერა შორს წაგვიყვანს, რადგან “მაჯურა” ჭიდაობა ძალიან მდიდარია ილეთებით და, შესაბამისად, მებრძოლის მომზადების საუკეთესო სისტემას წარმოადგენს. ეს ჭიდაობა, სხვა ყველაფერთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, ანვითარებს მაჯის სიძლიერეს, რომელიც მარტო შიშველი ხელით ბრძოლისას როდია აუცილებელი. სწორედ მაჯის სიძლიერეზე იყო დამოკიდებული ხმლის, ან სხვა ცივი იარაღის ოსტატური ხმარება.

რკინების სიტყვის კონა (1)

<p> აბილავება – დაცემულის უკუქცევა აზუზება – შებორკვისგან თავდაღწევა არდიგარდა – იგურდივი, დამორა, განივ გადატარება არქმა – ხელში ატაცება ასკიპარჭვა – აპლაკვა, აქარჩხვა, ფეხაშვერით წაქცევა აფრობა – შეპყრობა (აიფრე) აწიალება – კიდურით ატაცება აწიკვა – აზიდვა ბრეშა – ბღვერა, საჭიდაოდ გაშაღება ბუსკნაობა – თავრქით ჭიდაობა ბულრაობა – თავით და მხრით მიწოლა ბღლარძუნი – უგვანი ჯიდება ბწკნა – წადილი გამშვებისათვის გათანგვა – შებოჭვა გაკაიპება – გახვევა, გამაგრება განსხირპვა – გაჭიმვა, განტევება – გამშვება </p>	<p> გარდე – სარმა (მეგრ.) გასარქვა – სწრაფად შებოჭვა გაცლა – ფანდის ნაწილი გაძაბვა – მცირედ გაჭიმვა გაძაგვრა – მტკივნეულზე დაჭერა გახერება – უძრავად დადგომა გრიკა – რჩოლა, რკინება დაბალითება – მოტყუება დაბოძება – დაკოსება, გამაგრება დაგნასვა – დაფრთხობა დაზინება – მოზიდვა, დათრევა დათელება – მივარდნა დაკაპტოება – ხელში ჩაჭერა დაკვერცხება – მოწყვეტით დანარცხება დაკიდება – მოსაქანცი ხერხი დამარმუთება – დაფაცურება დატიტვა – ჯობნა, დაცალვა, დაჯალღვა დაშარტვა – მაგრად შებოჭვა დაშტაკნება – დაჭიდება (რაჭ.) დაცქვრენა – დაძვრომა </p>	<p> დილიმანი – გუმანით მოქმედება დინახალენი კაჭა – შუასარმა ვერაგი – ილეთვის სახეა ზავთი – რიხი, ძალა ზარფი – დიდი ძალა ზიდილა – გაწევ-გამოწევა ზურგული – ილეთვის სახეა ზღართან – მოწყვეტით დანარცხება იერიში – სწრაფი შეტევა იღლიღორა – ჯვარედინად შებმა კვანტი – ილეთვის სახეა კავური – კაური, ილეთვის სახეა (გარეკაური, შუაკაური) კისრული – ილეთვის სახეა კიწავი – სახელოში ჩაჭიდებით კონტი – უკუფანდი კოტაობა – ტყუილი ჭიდაობა ლიბირღვიელ – ბულრაობა (სვან.) მაკარტო – მაკრატო, მაკრატელასავით (?) </p>
---	---	---

რკინების სიტყვის კონა (2)


<p>მანდიკური – წელიდან მხრით აყვანა მეგორდია – მოგვერდი მოთარვა – ხელში მოგდება მოსაგვა – მოკატუნება, საგვა მოყინწვა – მოხუთვასავით მოყრონჭვა – ყელში წაჭერა, მოყლარჭვა მოცელვა – ფეხგამოსმით (გვერდიდან) მოწოლი – მოგვერდით მოჭიდავე – მორკინალი, მრკენელი, მატეკარი (გურ.), მაჭუდარი (აჭარ.) მოსამურება – მოგრეხასავით მოსელთება – ხელში ჩაგდება მოსხუბურკვლა – მოხოჯვა, ხელით შებოჭვა მხარიღლივ – მხრიდან მეორე იღლიის მიმართულებით ნამგალა – ფეხგამოსმით (უკნიდან წინისკენ)</p>	<p>ნიათი – არაქათი, იკლიკი ონა – ძალდატანება ონარი – საჭიდაო ხრიკი ჟრიატი – იღუმალი შიში რკენა – ჭიღება, ტეკობა საბეჭური – კანაფის უსახელო საჭიდაო ჩონა (იმერ.) სარმა – იღეთის სახეა საფალავნონი – ჭიდაობა, ხევისბერთა მონაწილეობით უგანა – გაუხტა ფერცხელი – კოტრიალი, გორაობა (მეგრ.) ფეხდაბიჯება – იღეთთა ჯგუფი ფილფო – ღონე ქილვა – თმაში ჩავლება, ქირჩნა ქიფება – ჯგიმვა, ჭიმვა ქიჩავი – გაწევ-გამოწევა, ქიჩმაჩი ღორება – მოტყუება ყინტი – მოყინწვა-მოსამურება შარკლა – ფეხების აჩაჩხვა შეჯავახება – მძიმედ შეტაკება</p>	<p>ჩიგორგალი – კისრულივით, დაბალ დგომში ჩოქური – მოგვერდი წაჩოქებით ცერული – იღეთის სახეა ცლინგური – ხელიდან დასხლტომის ხერხია ცუცურაკი – მოტყუება ჭიდაობა – კაცის რკინება ცხოველთან ხარდიორდა – ფუნდრუკის ნაირსახეობა ხერხი – ფანდი, ხვანჯი, ლინგი ხვანჯი – რთული იღეთი ხრიკი – ფანდი, ხიმიანი, ჩხაკვი ხუთვა – შთობა ჯანი – ღონე, საფანელი, ილაჯი, სიქა ჯიბრი – ჯობნის სურვილი ჯიკავი – ხელის კვრა, ჯირგალი ჯლუხა – რჩოლა</p>
--	--	---

თვალსაჩინოება


მოძიებული, შესწავლილი, დამუშავებული და დასამუშავებელი მასალების ოდენობისა და ისტორიული ღირებულების მაგალითისთვის შემდეგ გვერდებზე წარმოდგენილია გრაფიკული მასალა, სადაც თვალნათლივ ჩანს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით არამარტო კვლევა-ძიების წარმართვა, არამედ ქართული ყოფიერების ამ შესანიშნავი ძეგლის ტრადიციის აღდგენა და ჩვენი ქვეყნის თანამედროვე ყოფაში დამკვიდრება.

„მაჯურას“ რამდენიმე ფანდი, რომლებიც 30 წლის წინ არის ჩახატული ნოდარ ლურსმანაშვილის მიერ:









გასული საუკუნის პირველ ნახევარში ქართული ჭიდაობის მესვეურისა და მკვლევარის ილო თომაშვილის მიერ აღიწერა ქართული ჭიდაობა და ეს იყო პირველი მცდელობა მისი სისტემატიზაციისა. ამავე პერიოდში შეიქმნა ქართული ჭიდაობის ფედერაციაც და ამდენად ეს სახეობა მას შემდეგ, გარდა აღნიშნული წიგნისა, ცოცხალ მუხსიერებაშიც ინახება, რადგან ყოველწლიურად ტარდება ტურნირები და ცოდნა თაობიდან თაობას გადაეცემა. მიუხედავად იმისა, რომ მიზეზთა გამო აღნიშნული სახეობა მაგავე პერიოდში გვარიანად გაიძარცვა, იგი დღემდე მოვიდა და მასზე ვარაუდით არ გვიწევს მსჯელობა.

მაჯურა ჭიდაობის სისტემატიზაცია კი საშური საქმე გახლდათ, რადგან იგი ჩვენი მკვლევარების მიერ ასაკოვან მახსოვართა მოგონებებით აიკინდა და რაკი ამ სახეობაში არავითარი შეჯიბრი აღარ ტარდებოდა, იგი დაკარგვისათვის იყო განწირული. ამჟამად, რაკი გადარჩა საბაზო ცოდნა, ეს საშუალებას მოგვცემს მომავალი კვლევით მეტნაკლებად სრულად აღვადგინოთ იგი.

იღყვჩაბეხილი ბაჭუა გაცუარაბული მაჯარა



მაჯარა განგამოკრული შუასარბა



მხრეგრეხილი მუხლჩაუბილი მაჯურა



მაჯურა ბრუსრმა



მაჯურა ჩახტომილი ნისქვილი



შუბლით მავადსაქებილი მუხლქოქი



იდაყვ გაჭიმული უხუსარმა



ქისარბემოტარბული მაცალა



ჩახობილი მაცურა ხისრული



მაცურა ცამუსლა ჩაჩოქილი გარესარმა



მხლდაქაჩული მაცარა



ბარა ცარგამოქალთი მაცარა



ბოლოთქმა

როგორც ზემოთ აღინიშნა, როდესაც ვამბობთ, რომ ეს უნიკალური სახეობა დავიწყებას გამოვტაცეთ, იგულისხმება მხოლოდ მისი საბაზო მონახაზი და შეტევები. ამის მიუხედავად იგი უკვე ძალიან პოპულარულია მოვარჯიშეთა შორის.

შემდგომი კვლევა და პრაქტიკა გვაიმედებს, რომ სათანადო პირობების შემთხვევაში ასევე გვექნება თავდაცვა და უკუშეტევა და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაითვლება „მაჯურა“ საბოლოოდ აღდგენილად.

ქვემოთ წარმოდგენილი სიტყვის კონა ზოგადად ჭიდაობას ეკუთვნის და ამიტომ ზოგი ტერმინი მაჯურასთვის არ გამოდგება, მაგრამ ზოგადად ჭიდაობაზე წარმოდგენის შესაქმნელად საჭიროდ ჩაითვალა, რომ მაჯურას პირველ რედაქციაში იყოს წარმოდგენილი.



საკონტაქტო ინფორმაცია

საქართველოს სპორტის ტრადიციული სახეობებისა და თამაშების ასოციაცია traditional sport geo@gmail.com

ნოდარ ლურსმანაშვილი 593 163 912 n.lursmanashvili61@gmail.com

კობა ჭუმბურიძე 599 70 60 69 koba.chumburidze@gmail.com

საქართველოს სპორტის ტრადიციული
სახეობებისა და თამაშების
ასოციაცია





სამხრეთკავკასიის სპეტიუმის მრეწველური
სახეობებისა და თამაშების
ასტროლოგია

